პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის —— ოქტომბერი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ნელი დუმბაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ნელი დუმბაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N2-ში მდებარე
საცხოვრებელ სახლზე ნელი დუმბაძის მემორიალური დაფის
განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ნელი დუმბაძე დაიბადა 1917 წლის 17 ივლისს ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში აზნაურ ივანე დუმბაძის და ლიზა ქიქოძის ოჯახში. 1934 წელს ნელი დუმბაძემ დაამთავრა ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმი და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნელი დუმბაძე სამუშაოდ აჭარისწყლის სკოლაში მასწავლებლად იქნა გამწესებული. 1941 წელს ნელი დუმბაძე დააწინაურეს ბათუმის ფილიალის კაბინეტის გამგედ. 1943 წელს იგი მეცნიერ-თანამშრომლად იწყებს მუშაობას აჭარის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში. 1949 წლიდან ნელი დუმბაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელია. აქ მან განვლო გზა მასწავლებლიდან პროფესორამდე.

ქალბატონ ნელის გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები „რაჟდენ გვეტაძე“ (შემოქმედება). ეს მისი საკანდიდატო დისერტაციის თემაა, დისერტაცია 1956 წლის 20 თებერვალს დაიცვა და მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ასევე გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „დავით კლდიაშვილი“, ბათუმი, 1949 წელი; „ლიტერატურული წერილები“ , ბათუმი 1959 წელი. 1973 წელს გამოიცა ნელი დუმბაძის მონოგრაფია „ქართული სიმბოლიზმი“.

1975 წლის სექტემბერში ნელი დუმბაძე ზემოაღნიშნულ თემაზე იცავს სადოქტორო დისერტაციას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1977 წლის 1 ოქტომბერს ნელი დუმბაძეს პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა.

2000 წელს მისი ავტორობით გამოიცა „კრიტიკული ეტიუდები“.

1997 წელს საქართველოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლიტერატურის კვლევაში შეტანილი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის იგი ღირსების ორდერით დააჯილდოვეს.

2003 წელს ქალბატონი ნელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან არსებული პრემიების სახელმწიფო კომიტეტმა აბუსერისძე ტბელის პრემიით დააჯილდოვა.

გარდაიცვალა 2005 წლის 27 აპრილს

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, პ.ნელიქიშვილის ქ. N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ნელი დუმბაძის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ.ბათუმის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი ააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**